პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 156 (5186)

8 აგვისტო, ხუთშაბათი. 1974 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოქრო თბილისელი ველოსიპედისტის

ნოვგოროდში, 7 აგვისტოს გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ქალაქის დაარსების 1100 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი, ჩვენი ქალაქის ჩემპიონმა ვ. ბალაშოვმა ჩემპიონატი ხელიდან არ გაუშვა. ტურნირში 17 უძლიერესი ველოსიპედისტი მონაწილეობდა.

წინასწარი სერიების შემდეგ ფინალში გავიდა 8 ველოსიპედისტი, მათ შორის საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ვ. მარკოვი (ლიდერი მ. ზაიცევი. ორივე — ცსკა), ასევე არმიელი სპორტსმენები, თბილისელები ვ. პოპოვი (ლიდერი — მოსკოველი ა. ტრავკინი) და ო. პროკოპენკო (ლიდერი ი. კავსაძე).

ჭადრაკის დაფებთან — ჭაბუკები

მანილა, 6 აგვისტო. ფილიპინების დედაქალაქში ვრცელდება მოჭადრაკე ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა. წინასწარი შეჯიბრების II ტურში ლენინგრადელმა კოჩიევმა დაამარცხა დე ჯონგი (ბელგია), ხოლო III ტურში მისი შეხვედრა შვეიცის წარმომადგენელ შნაიდერთან 40 სვლის შემდეგ გადაიდო (კოჩიევი შავი ფიგურებით თამაშობდა, მეტოქეებმა რეტის დებიუტი გაითამაშეს).

ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს ინგლისელი მაილსი, რომელსაც III ტურმა მაკთან (გფრ) შეხვედრის შემდეგ მესამე ქულა მოუტანა. 2,5-2,5 ქულა აქვთ ხენაუს (კოლუმბია) და უინსტონს (აშშ). 2-2 ქულა დაუგროვდათ მარიანოვიჩსა (იუგოსლავია) და ამანს (შვეიცარია).

ცოტა რამ ისტორიიდან

როგორც ზედა მასალაში აღვნიშნეთ, მანილაში მიმდინარეობს ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის საინტერესო უნდა იყოს ამ შეჯიბრებათა ისტორია.

ჭაბუკთა მსოფლიო პირველობას ფიდე 1951 წლიდან ატარებს. პირველი ჩემპიონატი ბირმინგემში მოეწყო. გაიმარჯვა იუგოსლავიელმა ბ. ივკოვმა. ორი წლის შემდეგ კოპენჰაგენში პირველი იყო არგენტინელი ო. პანო.

1955 წლიდან (გარდა 1967 წლისა) შეჯიბრებაში მონაწილეობენ საბჭოთა მოჭადრაკეებიც. მათი პირველივე გამოსვლა გამარჯვებით აღინიშნა: მსოფლიო ჩემპიონი გახდა ბ. სპასკი. მხოლოდ 1969 წელს მიაღწიეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა ასეთსავე წარმატებას, როცა ჯ. კარპოვმა გაიმეორა სპასკის მიღწევა. კიდევ ერთი უმაღლესი წოდება მოიხვეჭა 1973 წელს ა. ბელიავსკიმ.

დანარჩენ წლებში მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ: 1957 — უ. ლომბარდი (აშშ), 1959 — ქ. ბელიცკი (არგენტინა), 1961 — ბ. პარმა (იუგოსლავია), 1963 — შ. გეორგიუ (რუმინეთი), 1965 — ბ. კურაიცა (იუგოსლავია), 1967 — ხ. კასლანი (უნგრო-რიგო), 1971 — ვ. ხუგი (შვეიცარია).

წინათ ჩემპიონატები ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. ახლა გადაწყდა, რომ შეჯიბრება ყოველწლიურად მოეწყოს. ჭაბუკთა ტურნირებში ძნელია წინასწარმეტყველება — ყველაფერი ბრძოლის მსვლელობაში ირკვევა. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებით უჭირთ ფავორიტებს, რომელთა რიცხვს უდავოდ განეკუთვნება ლენინგრადელი მოჭადრაკე ა. კოჩიევიც. მას სრული შესაძლებლობა აქვს გაიმარჯვოს საბჭოთა მოჭადრაკეების კარგი ტრადიციები.

ჩვენს ქალაქს — ჩემპიონატი

დამკვრელურ მშენებლობათა სპარტაკიადა

ტაშკენტი, 7 აგვისტო. უზბეკეთის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობების სპარტაკიადაში პირველი გამარჯვება ყარშის სტეპის ათვისებლებმა მოიპოვეს: „ყარშიმშენის“ ფეხბურთელებმა ფინალში ყველა შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარეს.

დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობათა წლევანდელი სპარტაკიადა რიგით მესამეა. იგი ყველაზე წარმომადგენლობითი აღმოჩნდა. წინასწარ ფიზკულტურის კოლექტივებში ჩატარებულ შეჯიბრებებში ათი ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. თითქმის ყველამ დაიმსახურა მშრ კომპლექსის სამკერდე ნიშანი, ხოლო ბევრმა სათანადო ნორმატივებიც შეასრულა. ყველაზე ძლიერი შუა აზია — ცენტრის გაზის მაგისტრალების, ტაშკენტის მეტროპოლიტენის, ტახიატაშის ჰიდროკვანძის, სირ-დარიის ელექტროსადგურის, ბუხარის ბამბეულის კომბინატისა და კიდევ ათი დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის ნაკრებ გუნდებში შევიდნენ.

მარშრუტები სპარტაკიადისა, რომელიც ეძღვნება რესპუბლიკის დაარსებისა და უზბეკეთის კომპარტიის ოქტოს იუბილეს, აგრეთვე, კომკავშირისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს, ამ მშენებლობათა სპორტულ ბაზებზე გაივლის. ამ ბაზებზე მორიგეობით გაიმართება ფინალური ტურნირები ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, შაშში, ძალოსნობასა და მძლეოსნობაში, ჭიდაობა კურაშში, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. (საკვესი).

ახალი ამბები-74

● მოსკოვი, 6 აგვისტო. ბალახის ჰოკეიში საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გამოვლინდა ოქროს ლაურეატი — ულიანოვსკის „ვოლგამ“ მესამედ მოიხვეჭა უძლიერესი გუნდის სახელი. დღეს მან ანგარიშით 3:1 სძლია ალმა-ათის „დინამოს“ და მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის. გამარჯვებულთაგან ერთი გოლი გაიტანა შეჯიბრების საუკეთესო სნაიპერმა ვ. მიშურნოვმა. ახლა მას აქტივში 8 ბურთია. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვებაზე პრეტენზიას აცხადებენ ალმა-ათის „დინამო“ და მოსკოვის სპორტკლუბი „ფილი“.

● ვინსკი, 6 აგვისტო. აქ დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბულგარეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება უწვეულო სისტემით ჩატარდა: გუნდები ერთმანეთს ჯერ წრიული სისტემით შეხვდნენ, ხოლო შემდეგ გაიმეორეს პირველი დღის მატჩები. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უკრაინის, ბულგარეთისა და ბელორუსიის ნაკრები გუნდები.

● გეტებორგი, 6 აგვისტო. შვეციის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელი ქვეყნისა და დანიის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 10:10. პირველ ტაიმში გაიმარჯვეს დანიელებმა — 5:4. მატჩის საუკეთესო ბომბარდირი იყო დანიის ნაკრების წევრი ბ. ლარსენი — 5 ბურთი.

● ორიოლი, 6 აგვისტო. სპლანერო სპორტში აქ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვის ცხრა გუნდი მონაწილეობდა. ვაჟთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა დნეპროპეტროვსკელმა ვ. პანასიუტინმა. ვერცხლის დიდი მედალი მოიგო მოსკოველმა ო. პასენიკმა. მესამე იყო რსფსრ-ს წარმომადგენელი ლ. ვასკოვი. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა რსფსრ-ს ნაკრები (ლ. ვასკოვი, ლ. პარხომცევი და თ. შავაინოვა). ვერცხლის ჯილდოები ხვდათ ლიტვის წარმომადგენლებს ლ. შუკინისს, ვ. შლიუმბას და რეგინა გარშუტეს. III ადგილზე მოსკოვის გუნდი (ი. კუზნეცოვი, ო. პასენიკი და ი. გორობოვა). ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა კაუნასელი რ. გარშუტე. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ტალინელი ე. ლაანი და ორიოლელი თ. შავაინოვა.

● ჩიკაგო, 6 აგვისტო. მოჭადრაკე ვაჟთა შორის ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის წოდება დიდოსტატმა უ. ბრაუნმა მოიპოვა. მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერს ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია.

● მონრეალი, 6 აგვისტო. კანადის მოჭადრაკეთა ღია ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა ლ. ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია), რომელმაც 10 ქულა დააგროვა 11-დან. II ადგილზეა დ. სათლზი (კანადა) — 9,5 ქულა. III-IV ადგილები გაიყვეს ბ. ლარსენმა (დანია) და ბ. ამოსმა (კანადა) — 9-9 ქულა.

თბილისის გაწათლების განყოფილების ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში (საგურამო) 160 ნორჩი ტანმოვარჯიშე იკაუებს სხეულს. ისინი აქ კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას, ახარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს. მოსწავლეთა XIII ბაკავშირო სპარტაკიადის შემდეგ აქ ჩამოვიდნენ სპარტაკიადის ჩრიზიორი ვ. კევლიშვილი, საქართველოს ნაკრების წევრები მ. თათარაძე, ვ. ალავიძე და სხვ.

სურათებზე თქვენ ხედავთ ბანაკის სპორტული ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა მომენტს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).



ᲫᲐᲛᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

ᲔᲠᲔᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მივხედოთ სპორტის ჯეჯილს!

თერთმეტი ჩემპიონი და... გაცრუებული იმედები

ალმა-ათის ყველა დარბაზში, ყველა მოედანზე, სადაც კი მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ტარდებოდა, ყოველდღე ნახავდით მძიმედ დატვირთულ ფოტორეპორტიორებს, კინოოპერატორებს, კალებითა და უბის წიგნაკებით „შეიარაღებულ“ ჟურნალისტებს. სიჭაბუკის, სინორჩის, სიმხნევისა და ძალის ამ ჭეშმარიტ დღესასწაულზე პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინოქრონიკის 117 წარმომადგენელი იყო აკრედიტებული.

და აი, დაეშვა პატარების დიდი ზეიმის ალამი. მიწყნარდა სასტარტო პისტოლეტების ხმა, გულშემატკივართა ყიჟინა. ამოსუნთქვის სამუალება მიეცათ ნორჩ სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ჟურნალისტებს. მაგრამ მოისვენებენ კი? სპარტაკიადამ ხომ მათ უხვად მისცა მასალა საბჭოთა სპორტის ხვალინდელი დღის, მისი მომავლის შესახებ მსჯელობისთვის. ამ საკითხებზე დიაღაც ღირს საუბარი. ეგ კი არა, ჩვენი სპორტის მომავლისთვის ასეთი სჯა-ბაასი აუცილებელია, სავალდებულოა.

ჩვენი დღევანდელი წერილის მიზანიც სწორედ ეს არის, ოღონდ, ცხადია, იგი ჩვენს „შინაურ“ საქმეებს შეეხება.

წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ მკითხველი: ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია ამომწურავი, ღრმა ანალიზის გაკეთება. ჩვენ მხოლოდ ზოგადად შევაფასებთ ყაზახეთის დედაქალაქში საქართველოს დელეგაციის გამოსვლებს, ვილაპარაკებთ ჩვენი ნორჩი სპორტსმენების მომავალ პერსპექტივებზე.

დავიწყოთ იმით, რომ ალმა-ათაში სპარტაკიადის პროგრამა 17 სახეობამდე გაიზარდა. მაგრამ ყველა დელეგაციას უფლება ჰქონდა ამორჩევით მხოლოდ 13 სახეობაში მიეღო მონაწილეობა. მძლეოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და ცურვაში გუნდების გამოყვანა აუცილებელი იყო. წინა სპარტაკიადისგან განსხვავებით, პროგრამაში კვლავ შეიტანეს თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა. ეს ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან საქართველოში მუდამ გვყავდა ძლიერი მოჭიდავეები. როგორც წესი, დიდ სპარტაკიადებში სწორედ ისინი გვაძლევდნენ ყველაზე მეტ ქულას. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრების წინ გვესაუბრა საქართველოს მოჭიდავეთა ერთ-ერთი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. გაჩეჩილაძე.

— ჩვენი მიზანი, სულ ცოტა, გუნდური III ადგილის მოპოვებაა, დანარჩენი კი ვნახოთ. საერთოდ, წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, ასპარეზობაში ყველაფერი მოსალოდნელია. ბევრი რამაა დამოკიდებული კენჭისყრაზეც.

სასიამოვნოა, რომ მწვრთნელის სიტყვები ახდა: ჩვენები ხომ მხოლოდ ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულ რსფსრ-ს გუნდს.

შეჯიბრების შემდეგ კი წარსულში ჩვენს სახელგანთქმულ ფალავანს დავით ციმაკურიძეს ვთხოვეთ ორიოდე სიტყვა ეთქვა ჩვენი ბიჭების შედეგებზე.

— კმაყოფილი ვარ მთელი გუნდის გამოსვლით. მხოლოდ ელდარ შოშიტაშვილმა (82 კგ) გაგვიცრუა იმედი. სამწუხარო კია, იგი ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორია და მისგან აქაც წარმატებას ველოდით. შოშიტაშვილის შედეგებზე თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, რადგან „ლელო“ უკვე იუწყებოდა ამის შესახებ. ძალიან მომეწონა ჩვენი ჩემპიონების გიორგი მაქაცარაშვილის (65 კგ), გივი კოზაშვილისა (75 კგ) და ვახტანგ მაღრაძის (87 კგ) გამოსვლა. ისინი ძალიან პერსპექტიული მოჭიდავეები არიან, უკვე თითქმის ჩამოყალიბებული ტექნიკა აქვთ, მაგრამ მწვრვალების დაპყრობისთვის ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ, განსაკუთრებით მაღრაძეს.

„კლასიკოსთა“ შეჯიბრების დაწყებამდე ჩვენი ბიჭების გუნდურ საპრიზო ადგილზე გასვლა ბევრს ძალიან ეეჭვებოდა. მაგრამ, როგორც ვიუწყებოდით, მათ III ადგილი მოიპოვეს და თურმე II ადგილისთვისაც შეეძლოთ ბრძოლა. „კლასიკოსებიდან“, სულ ცოტა, სამს მაინც უნდა მოეპოვებინა ჩემპიონობა, მაგრამ ეს ამოცანა მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა გ. კალატოზიშვილმა. შეასრულა და ისიც თავისუფალი სტილის მოჭიდავე იყო.

ჭადრაკი. ამ სახეობაში გამარჯვების მოსაპოვებლად VII სპარტაკიადიდან იბრძვიან ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები. ჩვეულებრივ, ისინი V-VI ადგილებზე იყვნენ, მხოლოდ ერთხელ, X სპარტაკიადაში, IV ადგილი დაიკავეს, ახლა კი III ადგილი ხვდათ. რა თქმა უნდა, III საპრიზო ადგილი ურიგო არაა, მაგრამ შეჯიბრების მსვლელობამ უფრო დიდი წარმატების საღერღელი აგვიშალა: ჩვენმა მოჭადრაკეებმა შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ზედ ფინიშის ზღურბლზე წააგეს მოსკოველებთან (2,5:5,5) და აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან (3:5).

სამწუხაროდ, მოჭადრაკეთა პირველმა „ვიოლინომ“ მ. ჩიბურდანიძემ 7 შესაძლებლიდან მხოლოდ 4,5 ქულა მოაგროვა და თავის დაფაზე III ადგილს დასჯერდა. მაიას ეს მოულოდნელი. მარცხი საქართველოს გუნდის მწვრთნელებმა ს. მეგრელიშვილმა და თ. ლომაიამ ლიდერის გადაღლით ახსნეს. ჩვენმა მეორე მოჭადრაკე გოგონამ მ. წერეთელმა 5 ქულით II ადგილი მოიპოვა მეორე დაფაზე. ამავე დაფაზე ჭაბუკთა შორის ყველას აჯობა ზ. სტურუამ (5,5 ქულა).

საქართველოს დელეგაციის წევრები გუნდურ შეჯიბრებებში საპატიო კვარცხლბეკზე მხოლოდ ამ სამ სახეობაში ავიდნენ.

ამ გუნდების შემდეგ ყველაზე კარგად ჩვენმა მოფარიკავეებმა იასპარეზეს. შეჯიბრების წინ მათს უფროს მწვრთნელს ვ. ქოჩიაშვილსაც ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვის თქმა, მაგრამ ვერაფერი დავაცდევინეთ: წინასწარ რაიმეს თქმა ცუდად მაქვს დაცდილიო. მაგრამ მერე, როცა არ მოვეშვით, მწვრთნელს ერთი რამ მაინც წამოსცდა: ჩვენი მიზანი, სულ ცოტა, გუნდურ V ადგილზე გასვლაა.

მერე კი, როგორც გახსოვთ, ჩვენმა მოფარიკავე გოგონამ ლ. ბერაძემ და ასევე რაპირისტმა ჭაბუკმა მ. გუგუშვილმა ჩემპიონობა დაისაკუთრეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მუშკეტერებმა IV ადგილი დაიკავეს. მართალია, ეს ორი ნაბიჯით წინ წაწევაა გასულ სპარტაკიადასთან შედარებით, მაგრამ გუხდს მაინც უნდა ვუსაყვედუროთ. ახლა მას მოსწავლეთა XI საკავშირო სპარტაკიადის ტრიუმფის გამეორება თუ არა, III საპრიზო ადგილზე გასვლა მაინც მოეთხოვებოდა, მით უმეტეს, რომ ზამთარში ჩვენმა ნორჩმა მუშკეტერებმა „გენერალური რეპეტიცია“ გაიარეს კიევში მოსწავლეთა საკავშირო პირველობაში, სადაც II ადგილი მოიპოვეს უკრაინის შემდეგ (მაშინ რსფსრ-ს სპორტსმენები სარბიელზე არ გამოსულან). თუმცა, ალმა-ათაში ჩვენებს შეიძლება უფრო დიდი წარმატებაც მოეპოვებინათ, საქართველოს გუნდის ერთ-ერთი ფავორიტი — რაპირისტი, მოსწავლეთა საკავშირო პირველობის მეორე პრიზიორი გ. აბაშიძე ფინალში რომ გასულიყო.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მუშკეტერების IV ადგილზე გასვლა ყველაზე მეტად რაპირისტების დამსახურებაა. ხმლით და დაშნით მოფარიკავეები აშკარად მოიკოჭლებდნენ მომზადების მხრივ.

აკრობატიკა. ეს სახეობა X სპარტაკიადიდან შედის პროგრამაში. მაშინ ჩვენებმა IV ადგილი მოიპოვეს, მომდევნო სპარტაკიადებში — VI და IV, ახლა V ადგილზე გავედით.

ერთი შეხედვით, აკრობატთა შედეგები ცუდი არ არის, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეჯიბრების ბოლო დღემდე პირად პირველობაში ჩვენი რამდენიმე აკრობატი ლიდერთა შორის იყო, საბოლოოდ კი მხოლოდ სოხუმელმა მ. ტყებუჩავამ მოიპოვა III ადგილი მხტომელ გოგონათა შორის, ცხადია, რომ მეტის მოლოდინი გვქონდა. მარინემ თავისუფალ ვარჯიშში ყველაზე მაღალი შეფასება — 9,6 ქულა მიიღო.

წყალში ხტომა. გასულ სპარტაკიადებში ამ სახეობაში ჩვენთვის საშუალოდ X-XI ადგილები იყო „დაჯავშნილი“. სამჯერ მოხდა გამონაკლისი: მეშვიდე სპარტაკიადაში V ადგილი დავიკავეთ, მერვეში — VI, მეათეში კი — III. ალმა-ათაში, როგორც ვიუწყებოდით, გუნდური VI ადგილი გვხვდა, პირად პირველობაში კი საქართველოს ჰიმნი ორჯერ აჟღერდა. ამასთან, ჩვენმა ჩემპიონმა ს. ნიკოლოტოვამ პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. თავისთავად ეს შედეგები დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ალმა-ათაში ფაქტიურად თბილისის ნაკრები იბრძოდა. საერთოდ, ბოლო სანს ამ სახეობაში წინსვლა იგრძნობა. საქართველოს წყალში მხტომელთა უფროს მწვრთნელად ი. გუტიაკულოვისა და ნორჩების რესპუბლიკური ნაკრების მესვეურად ა. ბართაიას დანიშვნა აშკარად დაეტყოთ წყალში მხტომელებს. იმ ორი ჩემპიონის გარდა ჩვენ კიდევ გვყავს ამ სახეობის ნორჩი წარმომადგენლები, რომლებიც მომავალში ალბათ კარგი ოსტატები დადგებიან. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სერგო შალიბაშვილი და სპარტაკიადის ყველაზე ნორჩი მონაწილე, 10 წლის ლალი ღონღაძე.

ძალიან სუსტად გამოვიდნენ ჩვენი მძლეოსნები. გასულ სპარტაკიადაში მათი III ადგილი გუნდურ შეჯიბრებაში ალბათ ყველაზე დიდი სენსაცია იყო კიევის მოულოდნელობათა შორის. ახლა კი ალმა-ათაში ძალიან ჩამოვრჩით: ბიჭებმა VI ადგილი დაიკავეს, გოგონების გამოვლისას კი მწვრთნელ მ. ტუღუშს დანა კბილს არ უხსნიდა. მათგან მხოლოდ 4×400 მეტრზე ესტაფეტის მონაწილეებმა შეასრულეს დასახული ამოცანა. გუნდურ შეჯიბრებაში გოგონებს XIII ადგილი ხვდათ, საერთო ჯამში კი, როგორც ვიუწყებოდით, XII ადგილი გვერგო. სხვათა შორის, წინა სპარტაკიადასთან შედარებით ჩვენმა მძლეოსნებმა მხოლოდ 15 სახეობაში გააუმჯობესეს შედეგები. აქედან მხოლოდ ექვსში დამყარდა საქართველოს მოსწავლეთა რეკორდები.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი მძლეოსნები აშკარად ცუდად მოემზადნენ გადამწყვეტი სტარტებისთვის. სპარტაკიადის დაწყებამდე მათ ყაზახეთის პირველობაში მიიღეს მონაწილეობა და ბევრმა გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენა. უროს ტყორცნაში სპარტაკიადის მეორე პრიზიორმა დ. წოწკოლაურმა ყაზახეთის პირველობაში 8-კილოგრამიანი ურო 68,08 მეტრზე ტყორცნა, რაც სსრ კავშირის ჭაბუკთა რეკორდია.

სპორტული ტანვარჯიში. იყო დრო, ჩვენი გუნდი ტრიუმფით ტოვებდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების სარბიელს. გასულ სპარტაკიადაში ჩვენებმა ყველაზე დიდი მარცხი იწვნიეს — VII ადგილზე დარჩნენ, ახლა კი VI ადგილი გვერგო. სხვათა შორის, აქ პირველად მოხდა, რომ ჩვენმა გოგონებმა ჭაბუკებს აჯობეს: მათ VI ადგილი დაიკავეს, ხოლო ჭაბუკებმა — VII. უფრო დიდ წარმატებაზე არც გვიფიქრია და ახლო მომავალში ალბათ ვეღარც ვიფიქრებთ. ეგ კი არა, სპორტის ოსტატის პროგრამით ჭაბუკები არც გამოვიყვანია. ოსტატობის კანდიდატთა პროგრამითაც მრავალჭიდში, როგორც ვიუწყებოდით, ვ. კევლიშვილმა III ადგილი მოიპოვა. უკეთესადაც შეეძლო გამოსვლა, მაგრამ სწორედ თავის საყვარელ იარაღზე — რგოლებზე დაუშვა შეცდომა. ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრების დროს კვლიშვილი მეორე იყო თავისუფალ ვარჯიშში და რგოლებზე. ამ უკანასკნელ იარაღზე III ადგილი გ. პაპუაშვილმა დაიკავა.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, თბილისელმა ნ. დრონოვამ მრავალჭიდში I-II ადგილები გაიყო ელეორუსიელ ლ. გორბაკთან ერთად. ნინა უძლიერესი იყო თავისუფალ ვარჯიშში, დვირზე კი „ტანვარჯიშის მოცარტს“ II ადგილი ერგო (ამავე სახეობაში და ორელზე ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით შეჯიბრებაში III ადგილი ჟ. ბიჭიკაშვილმა მოიპოვა). დრონოვა ცნობილი ტანმოვარჯიშეა და შესაძლოა ამ სახეობაში ნაკლებად ჩახედულმა კაცმა მისი მიღწევა წარმატებად არ ჩათვალოს. ამიტომ გვსურს მოსკოვის ტანმოვარჯიშეთა გუნდის წევრის, სპორტის ოსტატ ლ. ტიტოვსკაიას სიტყვები მოვიშველიოთ: „გოგონათა ტურნირში ბრძოლა ძალიან დაძაბულია. საქმე ისაა, რომ შეჯიბრების მონაწილე რამდენიმე სპორტსმენი უფროსების ნაკრებში მოხვედრას ცდილობს. ესენი არიან კიმი (ყაზახეთი), გროზდოვა (რსფსრ), სავინა და გორბიკი (ორივე — ბელორუსია), დრონოვა (თბილისი). აი, ასეთი ძლიერი შემადგენლობა გვყავს. ეს, ფაქტიურად, უფროსების მსოფლიო ჩემპიონატია, ოღონდ ტურიშჩევას, კორბუტის, საადისა და სიხარულიძის გარეშე“.

კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, წყალბურთი... სპორტულ თამაშებში ჩვენები ცუდად გამოვიდნენ. ფეხბურთელებმა ბოლო გამარჯვება IX სპარტაკიადაში მოიპოვეს და სწორედ იქიდან დაიწყო უკან დახვა სასპარტაკიადო შეჯიბრებებში. მომდევნო სპარტაკიადებში მათ შესაბამისად II, IV და VI ადგილები ხვდათ. ალმა-ათაში ყველაზე დიდ იმედს მაინც სწორედ ფეხბურთელებზე ვამყარებდით. ამას განაპირობებდა გუნდის გამარჯვებები საკავშირო შეჯიბრებებში და ბოლოს — წარმატება პოლონეთში. ალმა-ათის წინასწარ შეხვედრებში ჩვენი გუნდის სუსტი თამაში თავდაპირველად უიღბლობად ჩავთვალეთ. ზოგმა მსჯელობასაც გადაბარალა ეს, მაგრამ დადგა ფინალური შეხვედრების დრო და დაიწყო წაგებათა სერიაც. საბოლოოდ VII ადგილი გვხვდა.

ფავორიტებად ითვლებოდნენ საქართველოს კალათბურთელი ჭაბუკებიც. მათ, როგორც იცით, ქვეჯგუფში თურქმენეთის წარმომადგენელთა შემდეგ ძალიან მწვავე და საინტერესო ბრძოლაში დაამარცხეს ლატვიის გუნდი, მომავალი მეორე პრიზიორი. მაგრამ შემდეგ ლენინგრადელებთან შეხვედრაში, სადაც ხელს აძლევდათ 7 ქულით წაგებაც კი, ჩვენები მეტოქეს 8 ქულით ჩამორჩნენ და ფინალის საგზური დაკარგეს. საბოლოოდ მათ VIII ადგილი ხვდათ.

გოგონებმა X ადგილი დაიკავეს, საერთო ჯამში კი ჩვენი კალათბურთელები IX ადგილზე ადმოჩნდნენ.

წყალბურთი. ჩვენების შეხვედრები მეტოქეებთან მასწავლებლებისა და შეგირდების სახალისო შეჯიბრებას უფრო ჰგავდა. შეგირდების რიტს, სამწუხაროდ, ჩვენები ასრულებდნენ, ჩვენებს არც ერთი ფინალური ბრძოლა არ მოუგიათ და VI ადგილი დაიკავეს. ასე უხეიროდ ამ სახეობაში ჯერ არ გამოსულვართ.

ფრენბურთშიც გვქონდა ოქროს ხანა, მაგრამ ახლა უძლიერესთა ფონზე ჩვენები პირდაპირ საცოდავი სანახავი იყვნენ.

ალმა-ათაში თერთმეტჯერ შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, ჩვენი ნორჩები ცხრაჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე, თოთხმეტჯერ კი — მესამეზე. წინა სპარტაკიადაში, როცა ჩვენებმა არაოფიციალურ გუნდურ კომპლექსურ ჩათვლაში V ადგილი დაიკავეს, ამდენი ჩემპიონი და პრიზიორი არ გვყოლია. და მაინც, საქართველოს დელეგაცია ძალიან სუსტად გამოვიდა: ჩვენი რესპუბლიკისთვის VII ადგილი სამარცხვინოა. თუ ასე გაგრძელდა, ხვალ და ზეგ კიდევ უფრო მეტი ჩამორჩენა გველის.

კარგი იქნება, თუ ამ საკითხზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ სპორტის სპეციალისტები, მწვრთნელები, თვით სპორტსმენები. ეს უდავოდ ხელს შეუწყობს საერთო საქმის წინსვლას.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ალმა-ათა — თბილისი.

„მსიარული დელფინი“ პიონერთა ბანაკში



„ამხანაგო რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარევ! რაზმი „მხიარული დელფინი“, რომლის დევიზია „ყველა რეკორდი ჩვენი იქნება“, 40 პიონერის შემადგენლობით მზადაა ხაზის ჩასატარებლად“.

მე-8 რაზმის საბჭოს თავმჯდომარის მ. მგალობლიშვილის ეს პატაკი 26 დღის განმავლობაში ყოველ დილა-საღამოს გაისმოდა ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის ახალი ათონის პიონერთა ბანაკ „სიხარულში“.

მე-8 რაზმის გარდა, „სიხარულში“ კიდევ ორი ჯგუფი იყო სპორტული. ორივე „ლოკომოტივის“ ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს საწყლისნო სახეობების სპორტული სკოლის მოცურავეებით იყო დაკომპლექტებული. 120 ბავშვმა ხალისიანად და შინაარსიანად დაიცვენა ბანაკში. ბანაკის ხელმძღვანელობა (უფროსი ი. სიდამონიძე) მზრუნველობას არ აკლებდა ცისფერი ბილიკების მომავალ ოსტატებს. ვალში არც მოცურავეები დარჩნენ: ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ პიონერებს ცურვას ასწავლიდნენ. კარგმა თაოსნობამ მალე გამოიღო ნაყოფი: ნაკადის წასვლისთვის ჩატარებულ შეჯიბრებაში 300-დან 100-მდე პიონერმა პირველად ჩაბარა მშდ კომპლექსის ნორმატივი.

ნორჩ სპორტსმენთა დახმარება თანატოლებისადმი ამით არ ამოწურულა. ბავშვებმა ფიზკულტურის კოლექტივს დიდად შეუწყვეს ხელი საბანაკო სპარტაკიადის ორგანიზაციასა და გამართვაში: გამოუშვეს რამდენიმე კედლის გაზეთი, მოაწყვეს სპორტული ფოტოსტენდი, აქტიურად მონაწილეობდნენ ტურისტულ ლაშქრობებსა და ექსკურსიებში, „ნეპტუნის“ დღესასწაულის მომზადებასა და ჩატარებაში.

თ. თენგოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ახალი ათონი.

* * *

სურათზე: ტურისტული ლაშქრობის დროს.

ი. იუნაევის ფოტო.

„ლელოს“ ნაკითხვის ჩვენებით

„მუქარა რა საკადრისია!“

ამ სათაურით „ლელოს“ 7 ივლისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ჩხოროწყუს რაიონის ჩაის ფაბრიკებში ჯანსობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის დაბალი დონის შესახებ.

როგორც რედაქციას საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი ი. უბილავა ატყობინებს, რაიკომის ბიურომ იმსჯელა ჩაის ფაბრიკებში და განსაკუთრებით ლესიჩინის ჩაის ფაბრიკაში მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. ფაბრიკის დირექტორს შ. ჩხარჩხალიას გამოეცხადა საყვედური. დაისახა ღონისძიებანი ფიზკულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად. ლესიჩინის ჩაის ფაბრიკის ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე გ. კუპრაშვილი გაათავისუფლეს მოვალეობიდან და მას პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საყვედური გამოუცხადა. გადახალისდა, გაძლიერდა სპორტული სექციების ხელმძღვანელთა შემადგენლობა. ამჟამად მდგომარეობა სწორდება. ფაბრიკებში მუშაობენ ფიზკულტურის შტატიანი მეთოდისტები, შეკეთდა არსებული სპორტული მოედნები, შეძენილია საჭირო სპორტული ფორმები და ინვენტარი, დაინერგა სწავლა ტანვარჯიშში. დაგეგმილია ღონისძიებები მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების უზრუნველსაყოფად. დაწესებულია კონტროლი ჩაის ფაბრიკების ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შედგომი სრულყოფის მიზნით.

სერიოზული ერთგვნული ბიბლიოთეკა ლრმა კრიზისი

რევიუ

დღეს ითამაშებენ

8 აგვისტოს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

„შახტიორი“ — „დინამო“ (კიევი) 2:2. მატჩის დასასრულს რამდენიმე წუთი აკლდა, როცა მასპინძლები აგებდნენ და სტარუხინის მიერ თავით გატანილმა გოლმა ისინი მარცხს გადაარჩინა.

„ჩერნომორეცი“ — „კარპატი“ 2:0. ოდესელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ნახევარმცველმა მაკაროვმა, რომელიც ახლა ჩემპიონატის საუკეთესო ხნაიპერთა შორისაა. ლიდერობს ალმაათელი იონკინი — 11 ბურთი. კიეველი ბლოხინისა და მაკაროვის ანგარიშზეა 10-10 გოლი.

„სპარტაკი“—„ზარია“ 2:2.

„არარატი“ — „შახთაჟორი“ 3:1.

„ნისტრუ“—„ზენიტი“ 1:1.

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 8 აგვისტო.

„დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 1:1 (1:1).

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელაძე, კანთელაძე, გავაშელი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ესებუა (გ. ნოდია), გუცაევი, რეხვიაშვილი (ებრალიძე), წერეთელი.

„ქაირათი“: ორდაბაევი, სტეპანოვი, ჟუკოვი, ბაიშაკოვი, გალანსკი, მიხაილინი, ხისამუტდინოვი, ხაპასალისი (ალტუხოვი), ჩებოტარიოვი (ლაზარევი), იონკინი, ევდოკიმოვი.

მსაჯი ნ. უიხარევი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:1.

0:5! ეს ციფრები მძიმე ტვირთად აწევთ თბილისის დინამოელებს წლევანდელი ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ პირველ წრეში ჩვენი გუნდი ასეთი ანგარიშით დამბარცხდა „ქაირათთან“ ალმა-ათაში.

უკვე ეს სამარცხვინო წაგება უნდა ქცეულიყო დინამოელთათვის სტიმულად, რათა რევანშიც დაახლოებით ასეთივე სოლიდური და დამაჯერებელი ყოფილიყო. ეს ეხება პრესტიჟის სფეროს. ხოლო, თუ ამას დავუმატებთ იმ მძიმე სატურნირო სიტუაციას, რომელშიც ახლა ჩვენი გუნდია ჩავარდნილი, ორი აზრი იმის თაობაზე, რომ საპასუხო მატჩში „ქაირათთან“ საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება, არ შეიძლება არსებობდეს. 2 ქულა მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა თბილისელთა ერთობ მოკრძალებული, ღარიბული აქტივისთვის. ამ 2 ქულის ასაღებად გუნდს უნდა ებრძოლა ძალების უკიდურესი დაძაბვით, მაქსიმალური ენერგიითა და მონდომებით. მეტიც — შეიძლება, ალმაათელებთან მატჩს ეტაპობრივი, გარდატეხის მნიშვნელობაც ჰქონოდა.

და აი, მატჩიც ჩატარდა, მისი შედეგიც იცით — მხოლოდ 1 ქულა. თქმა იმისა, რომ დინამოელებმა არ მოისურვეს სრული შესაძლებლობით თამაში, არ იბრძოლეს მთელი ენერგიით და დაზოგეს ძალები, უბრალოდ, სწორი არ იქნებოდა. ამას ვერც ერთ მოთამაშეს ვერ ვუსაყვედურებთ. მით უფრო შემაშფოთებელი და საგანგაშოა ეს ამბავი. გამოდის, რომ ჩვენს გუნდს უნდა თამაში და ვერ თამაშობს, ყველაფერს აკეთებს გამარჯვებისთვის და ვერ იმარჯვებს, თავის მინდორზეც კი ვერაფერს ხდება ისეთ საშუალო გუნდთან, როგორიც „ქაირათია“. ღირსეული რევანშის აღებისა და პრესტიჟის აღდგენის სურვილებმა მეორე პლანზე გადაინაცვლა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სტუმრებმა ანგარიში გახსნეს მე-10 წუთზე, მერე კი, უკვე შესვენების შემდეგ, როცა ალმაათელები საკმაო მატებით საფუძვლიანად დაეუფლნენ ინიციატივას და მდგომარეობის ბატონ-პატრონნი გახდნენ, სრული სიცხადით წამოიჭრა სულ სხვა პრობლემა — ფრეს შენარჩუნებისა. ამ ამოცანას გუნდმა დიდი გაჭირვებით გაართვა თავი.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის „დინამო“ განიცდის სერიოზულ, დრმა კრიზისს, რომ მისი წარუმატებლობა გამოწვეულია არა მოუნდომებლობითა და დაზარებით, არამედ უკიდურესად ცუდი ფორმით, თამაშის უვარგისი ორგანიზაციით, არასამარისი საერთო კლასით.

დავუშვათ, იონკინის მიერ მე-10 წუთზე გატანილი გოლი მეკარისა და სტოპერების შემთხვევითი შეცდომის, ლაფსუსის ბრალი იყო, მაგრამ იგივე სტოპერები და განაპირა მცველები სისტემატურად უშვებდნენ ასეთ შეცდომებს მთელი მატჩის მანძილზე, რის შედეგადაც კარი არაერთხელ იდგა რეალური საფრთხის წინაშე. ეს იყო არა ცალკეული შეცდომები, არამედ, საერთოდ, არასწორი თამაში, სუსტი დაზღვევა, დათმობა როგორც ტაქტიკური თვალსაზრისით, ისე უშუალოდ ინდივიდუალური ბრძოლის დროსაც. „დინამოს“ არც ერთი მცველი არ იდგა სათანადო სიმაღლეზე... კიდევ უფრო უარესად თამაშობდა ნახევარდაცვა. თამაშობდა ზუსტად ისე, როგორც... არ უნდა ითამაშოს ნახევარდაცვამ თანამედროვე ფეხბურთში. ეს იყო ბურთის გაუთავებელი, უსარგებლო ტარება შუა მინდორში, გადაცემების დაყოვნება, კოლექტიური ურთიერთმოქმედების უგულებელყოფა, ტემპის შეხელება. „დინამოს“ ნახევარმცველები აინუშიც არ აგდებენ იმას, გაიხსნა თუ არა წინ თავდამსხმელი, შეიქმნა თუ არა ტაქტიკური ამოცანის ერთი გადაცემით გადაჭრის მომენტი. მათ ერთი მიზანი აქვთ — ატარონ ბურთი საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით, პერსონალურ თამაშამდე დაიყვანონ კოლექტიური გეგმები.

ვერც თავდამსხმელთაგან გამოვყოფთ ვინმეს, რომელიც ქების ღირსი იყოს. აქაც მოთამამეთა უპირველესი მიზანია პირისპირ შეტაკებანი მოწინააღმდეგე მცველებთან, დროის დაკარგვა ბურთის უნაყოფო ტარებით, ზედმეტი დრიბლინგი. ფორვარდები ხშირად ჯგუფდებიან, ვერ იყენებენ თავისუფალ ადგილებს, იშვიათად და ძალიან უხუსტოდ ურტყამენ კარში. იმ გოლის გარდა, რომელიც რეხვიაშვილმა გაიტანა მე-14 წუთზე საჯარიმოს გათამაშების შემდეგ, სტუმრების კართან სულ 2-3 ხეირიანი სახიფათო მომენტი თუ შეიქმნა. ეს კი, როგორც ხედავთ, საკმარისი არ არის.

თბილისის „დინამოს“ წინაშე კვლავ სრული სიმწვავით დგას მისთვის უჩვეულო პრობლემა — თავი დააღწიოს სახიფათო ზონას. იმედი უნდა ვიქონიოთ, გუნდის ახალი ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს სერიოზული კრიზისისგან თავის დასაღწევად.

რ. ქორიძე.

• • •

სურათზე: თამაშის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	17	9	7	1	27—10	25
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	17	7	7	3	27—21	21
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	17	5	11	1	19—18	21
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	16	6	7	3	17—12	19
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	17	6	7	4	17—15	19
„არარატი“ (ერევანი)	17	6	6	5	20—16	18
„დინამო“ (მოსკოვი)	16	5	8	3	20—17	18
„ქაირათი“ (ალმა-ათა)	17	4	8	5	24—23	16
„შახთაჟორი“ (ტაშკენტი)	17	5	6	6	24—26	16
„შახტიორი“ (დონეცკი)	17	4	8	5	16—18	16
„ტორპედო“ (მოსკოვი)	16	5	6	5	15—17	16
„დინამო“ (თბილისი)	17	3	8	6	14—22	14
ცსკა	16	3	7	6	19—23	13
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	17	3	6	8	20—25	12
„კარპატი“ (ლვოვი)	17	2	8	7	12—19	12
„ნისტრუ“ (კიშინიოვი)	17	3	6	8	24—33	12

I ლიგა

5 აგვისტოს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 5:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 4:1, „ვრილია სოვეტოვი“ — ასკ (დონის როსტოვი) 3:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:3, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 5:0, „სპარტაკი“ (ივანოფრანკოვსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:0.

ჭუთაისის ტორპედოელები ლიპეცკში შეხვდნენ ადგილობრივ „მეტალურგს“. მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი“ (ბაქო)	22	12	5	5	31—16	29
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	22	11	6	5	33—18	28
ასკ (დონის როსტოვი)	22	11	6	5	32—20	28
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21	11	4	6	35—20	26
„კუზბასი“ (კემეროვო)	21	11	3	7	28—25	25
„ტავრია“ (სიმფეროპოლი)	21	10	3	8	36—26	23
„დინამო“ (მინსკი)	21	9	5	7	27—24	23
„ტორპედო“ (ჭუთაისი)	22	8	7	7	19—22	23
„შინიკი“ (იაროსლავლი)	21	7	8	6	25—24	22
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	22	8	6	8	25—28	22
„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)	22	5	11	6	20—20	21
„ზვეზდა“ (პერმი)	22	7	7	8	28—31	21
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	22	6	8	8	21—25	20
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	22	8	4	10	27—38	20
„პამირი“ (დუშანბე)	19	5	8	6	22—19	18
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	20	6	6	8	22—27	18
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	21	6	6	9	20—25	18
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	22	6	6	10	22—31	18
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	22	4	7	11	26—41	15
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	21	2	6	13	18—37	10

II ლიგა III ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ბათუმი)	23	12	9	2	33—9	33
„ტორპედო“ (ვლადიმირი)	23	11	8	4	31—16	30
„ისარა“ (სმოლენსკი)	23	12	5	6	35—20	29
„დილა“ (გორი)	23	12	4	7	46—28	28
„დინამო“ (ვოლოგდა)	23	11	6	6	33—23	28
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	23	10	8	5	28—26	28
„შრალანი“ (ელისტა)	23	10	6	7	23—21	26
„გურია“ (ლანჩხუთი)	23	6	13	4	32—24	25
„ხიმიკი“ (ძერჟინსკი)	23	9	7	7	28—22	25
„მერცხალი“ (მახარაძე)	23	8	9	6	31—27	25
„კალიტვა“ (ბელაია კალიტვა)	22	9	4	9	26—23	22
„დინამო“ (ციროვაბადი)	22	9	3	10	31—27	21
„დინამო“ (სტავროპოლი)	23	7	7	9	26—25	21
„დინამო“ (ზუგდიდი)	23	8	4	11	28—38	20
„დინამო“ (ბრიანსკი)	23	7	5	11	25—32	19
„შირაკი“ (ლენინაკანი)	22	7	4	11	25—36	18
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	22	7	2	13	18—31	16
„კოლხეთი“ (ფოთი)	23	3	6	12	14—29	16
„ლოკი“ (ციროვაკანი)	22	3	7	12	13—39	13
„ფოლადი“ (ხუმგაითი)	22	5	1	16	15—45	11

საქართველოს თასზე

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს თასის მეოთხედფინალური შეხვედრები: „კახეთი“ (თელავი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 5:1, „ივერია“ (ხაშური) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 3:1.

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდნენ: ფიზკულტურის ინსტიტუტი — „კახეთი“, „ივერია“ — „მეტალურგი“. ეს მატჩები შედგება 14 აგვისტოს.

პირველი ეტაპის შემდეგ

მოსკოვი, 6 აგვისტო. რეგბიში გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის შესარჩევ ჯგუფებში სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა და მოსკოვის გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგეს. დღეს მოსკოველებმა ანგარიშით 32:0 (4:0) დაამარცხეს იუგოსლავიის „ნადი“, ხოლო სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა მოუგო პრაღის გუნდს — 18:4 (9:0).

მოსკოველთაგან თავი გამოიჩინა მათმა კაპიტანმა ბ. ივაშოვმა, რომელიც კვლავ ყველაზე შედეგიანი იყო — 8 ქულა მოუტანა გუნდს. სსრ კავშირის კლუბების ნაკრებში ამ მხრივ საუკეთესო იყო მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის წარმომადგენელი ე. კოჟინი — 7 ქულა.

სპორტლოტო

მორიგი ტირაჟის შედეგები

30 ივლისს მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 21-ე ტირაჟი. გაგაცნობთ შედეგებს.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 92, სამისთვის — 4.

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1718 მანეთია, ოთხისთვის — 43, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 11 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საინტერესო ფოტოსურათი უაღრესად უჩვეულო, თითქმის წარმოუდგენელ ამბავს მოგვითხრობს. თქვენ ალბათ გაიკვირვებთ: განა რა მოხდა ისეთი, ჩვეულებრივი ტორეადორი ჩვეულებრივ ხარს ებრძვისო. მართალია ხარი ჩვეულებრივია, მაგრამ ტორეადორზე ამას ვერ ვიტყვით. ეს ხომ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდისა“ და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრების ნახევარმცველი სტანისლავ კარასია (მან წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატშიც ითამაშა და საკმაო წარმატებითაც). წლეულს მისი კლუბი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მადრიდის „ატლეტიკოს“ შეხვდა და კარასიმაც ისარგებლა ამით. როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდა, იგი მადრიდის მახლობლად მდებარე სარბიელზე მიიჩქაროდა, სადაც ესპანელი ტორეადორის პალომო ლინარესის ხელმძღვანელობით უკვე სხვა ამპლუაში ვარჯიშობდა. მერე კი, როგორც ხედავთ, ხართან მარტო შებრძოლებაც სცადა.

ცაფ-ის ფოტო.



ოგიევსიევშია მსოფლიო

კარკასი ტორეადორის როლში არჩევანში არ შემცდარან

ჩრდილოირლანდიელ ფეხბურთელს ჯორჯ ბესტს ალბათ ეგონა, რომ დიდება მისი მუდმივი თანამგზავრი იქნებოდა, მაგრამ, როგორც იცით, ასე არ მოხდა. ბესტის ცვილის ფიგურა მადამ ტიუსოს სახვეყნოდ ცნობილ მუზეუმში (ლონდონი) უკვე კარგა ხანია საკუთნაოში დგას. მისი ადგილი ჰოლანდიელი მოთამაშის იოჰან კრუიფის ფიგურამ დაიკავა. მუზეუმის მეცნიერები არჩევანში არ შემცდარან. კრუიფმა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში კიდევ ერთხელ ნათლად დაამტკიცა, რომ იგი უდავოდ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ეს „გადაადგილება“, მართალია, წელიწადნახევრის წინათ მოხდა, მაგრამ, ვფიქრობთ, სურათი მკითხველისთვის მაინც საინტერესო იქნება.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

ამჯერად — V ადგილზე

ჯერ რამდენიმე სიტყვა შესავლის ნაცვლად: ევროპის იუნიორ კალათბურთელთა ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრებს რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება აქვს მოპოვებული. ხუთჯერ იგი ჩემპიონი იყო, 1972 წელს კი III ადგილი დაიკავა. წლევანდელ ტურნირში, რომელიც ამას წინათ საფრანგეთში ჩატარდა, საბჭოთა კალათბურთელები ფავორიტთა შორის ირიცხებოდნენ..

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 კოლექტივი, ოთხით მეტი, ვიდრე წინა ჩემპიონატში. სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად ჯგუფში თამაშობდნენ ავსტრიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, იტალიის, პოლონეთისა და ფინეთის გუნდები. საბჭოთა სპორტსმენებმა წააგეს ჯგუფის ორივე მთავარი მატჩი ესპანელებთან (46:54) და იტალიელებთან (59:61).

ნაკრების მწვრთნელები ამ წარუმატებლობას ცენტრალური თავდამხმელის ტკაჩენკოს ტრავმით ხსნიან. ამ სპორტსმენის არყოფნამ გუნდს მართლაც თავისი დაღი დაასვა, მაგრამ ეს თავის გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება.

სსრ კავშირის იუნიორთა გუნდის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ საბჭოთა კალათბურთელებს წლეულს მხოლოდ ორი თუ სამი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ ჩატარებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდს აკლდა გამოცდილება.

ჯგუფური ტურნირების შედეგებმა ცხადყო, რომ სსრ კავშირის ნაკრებს, უკეთეს შემთხვევაში, V ადგილისთვის შეეძლო ბრძოლა. ჰოლონელებთან გამარჯვების შემდეგ იგი გავიდა კიდეც ამ ადგილზე.

ჩემპიონობა კი იუგოსლავიის ნაკრებმა მოიპოვა. ფინალური მატჩის დამატებითს დროში მან 1 ქულით (80:79) მოუგო ესპანელებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ესპანეთის ნაკრები წინ იყო მატჩის დამთავრებამდე 4 წამით ადრე და მხოლოდ ცენტრიდან ერთმა იღბლიანმა სროლამ მოუტანა იუგოსლავიის გუნდს მთავარი ჯილდო.

ბრინჯაოს მედლები იტალიელებმა მიიღეს.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ერთხმად აღიარეს ბობი (ესპანეთი), ყველაზე შედეგიანი კალათბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი მიიღო პოლონელმა კიევსკიმ, რომელმაც 9 მატჩში თავის კოლექტივს 251 ქულა შესძინა.

მოგება მინიმალური სხვაობით

სსრ კავშირში სტუმრადაა აშშ-ს იუნიორ კალათბურთელთა ნაკრები. სტუმრებმა პირველი ორი მატჩი გამართეს უკრაინის დედაქალაქში ადგილობრივ იუნიორებთან.

პირველ შეხვედრაში სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 103:88 (56:51). უკრაინელები თითქოს ახლოს იყვნენ მიზანთან მეორე შეხვედრაში, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდნენ — 87:102 (45:50).

შემდეგ ამერიკელები ლენინგრადს ეწვივნენ. ადგილობრივ იუნიორებს და სტუმრებს შორის „იუბილეინის“ სარბიელზე გამართულ მატჩს 5 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ტაიმი მასპინძლებმა დიდი უპირატესობით მოიგეს — 52:36. შესვენების შემდეგ ამერიკელებმა ხელი იგდეს ბრძოლის სადავეები და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ მეტი ვეღარაფერი შეძლეს. გაიმარჯვა ლენინგრადის ნაკრებმა — 85:84.

მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან

ძალთა პირველი სპარტაკიადა

6 აგვისტოს ულან-ბატორში დაიწყო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა პირველი სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაში შედის მძლეოსნობა, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. სარბიელზე გამოდიან ზონალურ ტურნირებში გამარჯვებულნი.

მონგოლეთის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირი თვეს რიგებში 100 ათასზე მეტ ადამიანს აერთიანებს. მათს 35 პროცენტს ქალები შეადგენენ. ახლა მონგოლეთში 8000-მდე ქალს სპორტული წოდება და თანრიგი აქვს. ბევრი მათგანი მწვრთნელი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია.

ულან-ბატორი.

საჯარო ჟურნალისტიკა

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



ლელო

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშების თვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-პოლიტიკური და მწერლობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-58, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, განმშვრები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ჩოგბურთისტები, ჭადრაკელები, ჭიდაკელები

კოლონეთი

დასასრულს უახლოვდება ეროვნული ჩემპიონატი. მართალია, ხოკეის „რუხს“ ჩემპიონობა უზრუნველყოფილი აქვს, მაგრამ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. ახლა გაგაცნობთ XXVIII ტურის შედეგებს. ჩემპიონმა სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა კრაგოვის „ვისლასთან“. ვერცხლის მედლების მთავარმა პრეტენდენტმა ზაბჟეს „გურნიკმა“ შინ მარმახისა და დეიას გოლების წყალობით დაამარცხა ლოძის ლკს — 2:0. III ადგილზე მყოფმა მელეკის „სტალმა“ ასევე შინ მოუგო ვარშავის „ლეგიას“ — 3:1. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ მერე მსოფლიო პირველობის მონაწილეებმა ლატომ, დომარსკიმ და კასპერჩაკმა საში გოლი გაიტანეს მათს კარში.

პირველი ხუთეული:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„რუხი“	28	14	12	2	48:17	40
„გურნიკი“	28	14	6	8	38:24	34
„სტალი“	28	11	11	6	37:23	33
„ვისლა“	28	11	11	6	32:23	33
„ლეგია“	28	12	8	8	34:24	32

(საკ. ინფ.).

რამსეის მემუარები

ორმა ინგლისურმა ყოველკვირეულმა გაზეთმა ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ა. რამსეის სთხოვა მათს ფურცლებზე გამოაქვეყნოს მემუარები. მას სთხოვენ, აგრეთვე, პროფესიონალი ტელეკომენტატორიც გახდეს.

რამსეიმ რამდენიმე წინადადება მიიღო უცხოეთის კლუბებიდანაც, მაგრამ გაბაცხადა, ინგლისის დატოვებას არ ვაპირებო.

2-ი წლამდე...

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით, ამიერიდან ვერც ერთი მოთამაშე ვერ დატოვებს თავის ქვეყანას 26 წლის შესრულებამდე. ეს პირველი ღონისძიებაა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც არგენტინაში გაიმართება.

აკრძალვა არ ეხებათ აიალასა და ერედიას, რომლებიც მადრიდის „ატლეტიკოში“ თამაშობენ, ავრეთვე, ვოლფს, რომელიც ეროვნებით გერმანელია და „შტუტგარტში“ ჩაირიცხა.

ვალკარეჯი თავს იმართლებს

რომში გამართულ პრესკონფერენციაზე იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ფ. ვალკარეჯომ განაცხადა, რომ უკუ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.

შეეხო რა მსოფლიო ჩემპიონატში იტალიელთა მარცხს, ვალკარეჯომ განაცხადა, ნაკრების აღლანდელი ძალებით უკეთესი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იყოო.

ჩირიჩი სათავეში ჩაუდგა „ვალენსიას“

იუგოსლავიის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა მ. ჩირიჩმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ესპანეთის პირველი ლიგის კლუბ „ვალენსიასთან“.

„ვალენსიას“ აქამდე წვრთნიდა განთქმული სპეციალისტი ა. დი სტეფანო, რომელმაც აღარ ისურვა გუნდში დარჩენა.

კნოგელი ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა

ამსტერდამში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნულია ჯ. კნოგელი.

ეს სპეციალისტი ჰოლანდიის სხვადასხვა კლუბს ედგა სათავეში. ბოლო წლებში კი წვრთნიდა ამსტერდამის „აიაქსს“, სადაც მოთამაშეებთან დიდი კონფლიქტი მოუვიდა და შუა სეზონში მიატოვა გუნდი.

ნ. როკო „ფიორენტინაში“ გადავიდა

ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ნ. როკო, რომელიც ბოლო წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა „ფიორენტინის“ მწვრთნელად გადავიდა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ИНДЕКС 66448

УЦ 10753